სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 245

10 ნოემბერი 2022 წელი

ერთი მხრივ **თვითმმართველი ერთეულის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **კობა ლურსმანაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 5 ივლისის №2916 განკარგულების **(SMP220003128)** შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის და მასში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; **CPV-79900000**
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დისტანციურ რეჟიმში განხორციელდება ორ ეტაპად, მიმდინარე წლის **22-25 ნოემბერს**.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს დისტანციურ რეჟიმში გასამართად ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, დამუშავება-რედაქტირება, შესაბამის პორტალზე განთავსება;
2.4.2. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში გასამართად შესაბამისი ვებ-პორტალი;
2.4.3 უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეებისათვის ონლაინ-სიგელების/დიპლომების მომზადება და შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში განათავსოს მათზე შემყიდველი მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა (ლოგო, გერბი ან სხვა);
2.4.4. შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიანიჭოს სისტემური წვდომის უფლება კონკურსის მიმდინარეობის და მისი შედეგების მონიტორინგის მიზნით;
2.4.5. ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ ფორმატში ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება **2 960 (ორი ათას ცხრაას სამოცი)** ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარების შემდგომ, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.
3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია: მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას განხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის ჯგუფი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.
5.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
6.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
7.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.2 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

8.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. ინტერესთა კონფლიქტი:

10.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
თვითმმართველი ერთეულის
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ხარაგაული 9 აპრილის ქ, N15
ს/კ 243570989
ტელ.0433220073
მობ. 599852605
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი:200122900.
ელ- ფოსტkharagauli.municipality@gmail.com

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი:
კობა ლურსმანაშვილი

Koba Lursmanashvili
Digitally signed by Koba Lursmanashvili
Date: 2022.11.10 17:09:23 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „ეტალონი-მედია“
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608
ელ- ფოსტ: tako@etaloni.ge

დირექტორი:
/მ.ღოღობერიძე/

Etaloni-Media LLC
Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2022.11.10 16:21:57 +04'00'